

**მაია კვიციანი**  
**(საქართველო)**

**ანტიკური სახე-სიმბოლოები ლია სტურუას**  
**პოეზიაში**

ანტიკური სამყარო მრავალშრიანია, მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების არაერთი ნიმუში სწორედ ამ მასალას იყენებს. მნიშვნელოვანია, როგორ ხდება უკვე არსებული მოტივების, სახეებისა და სიმბოლოების გადაზრება მწერლისა თუ ხელოვნების სხვა დარგის წარმომადგენლის მიერ. რა სიახლე შემოაქვს თანამედროვე ნიმუშს, რომელიც ქმნის ახალ სააზროვნო არეალს და, ამდენად, უკვე არსებულ წყაროსაც ინტერპრეტაციით ამდიდრებს.

ლია სტურუა მეოცე საუკუნის 70-იანელთა თაობის წარმომადგენელია, პოეტმა თავისი ადგილი უკვე დაიმკვიდრა ლიტერატურულ სივრცეში. მისი შემოქმედება არაერთი კუთხით არის საინტერესო და შეფასებული: „პოეტური ასოციაციები და მოულოდნელი მხატვრული სახეები მიმართულია იმ არაორდინალური შინაგანი ხილვის გადმოცემისაკენ, რომლის პოეტური რეალიზება სხვა ფორმით შეუძლებელი ჩანს“ (ბენაშვილი 1989:181); „ლია სტურუას პოეზია ზედმიწევნით განწმენდილია, როგორც დრომოჭმული პოეტიზმებისგან, ასევე ძველი ყაიდის მაღალფარდოვნებისაგანაც“ – (ასათიანი 2002:11); „ლია სტურუას პოეზიის ენა ნატიფი და გამჭვირვალეა...“ (ჯალიაშვილი 2007: 91) ლია სტურუა შეფასებულია როგორც ორიგინალური სტილის მქონე, ინტელექტუალური პოეზიის ავტორი, რომლის სამყაროსაც ლირიკული მე განსაზღვრავს. ის იმ პოეტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც არა მხოლოდ ლექსის ფორმის მრავალფეროვნებით, არამედ სათქმელისა და იდეის განსხვავებულად აღქმით ამახსოვრებენ თავს მკითხველს. პოეტურ ნიმუშებში არსებული პარადიგმები გადააზრებულია და ხშირად თითქოს დაპირისპირებული სიტყვები ჰარმონიულად თანაარსებობენ. მის პოეზიაში ანტიკური სახე-სიმბოლოები ახალ შინაარსს იძენს. ეს სამყარო ავტორისთვის უჩვეულო და მუდმივი ფიქრისა და აღმოჩენის შესაძლებლობის მქონეა. სწორედ ამ ნიშნით (ჩემ მიერ) გაერთიანებული ლექსების განხილვის კვალდაკვალ დავაკვირდებით რა ნიშნები გამოარჩევს შერჩეულ ნიმუშებს და რა კონტექსტებით ამდიდრებს უკვე არსებულ წყაროებს. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი საინტერესო ლექსია „ანტიკური სონეტი“, მხატვრული რემინისცენციების საშუალებით პოეტი გვახსენებს იმ სისასტიკესა და სიყვარულს, რომლითაც გამორჩეოდა აღნიშნული პე-

რიოდი: „თეთრი ჭირი“ „მარმარილოს ცხელი ელიტა“, „სისხლის ტბაში მობანავე ბრინჯაოს გმირი“, „მრუში გენები“... სინტაგმათა ეს ნიმუშები, მკითხველის მეხსიერებიდან გამოიხმობენ ანტიკური სამყაროს სახეებს, სონეტის მთავარი აზრი სწორედ მათი დეკოდირებით მიიღწევა, რომლის შედეგადაც ერთი მთლიანი ისტორია ცოცხლდება რეციპიენტის აზროვნებაში.

ზღვა იყო ღმერთი, მიწაცა და ჰაერიც ღმერთი,  
ერთს რომ უყვარდა ჩვენი გმირი, მეორე კლავდა  
ხან ქუსლი ჰქონდა მას უმწეო და ხანაც მკლავი,  
რომელზეც ქალი დაენვეთა – მდინარე თეთრი,  
ისიც გაზრდილი ბედისწერის ურძეო ხსენით,  
ფუთ ბრინჯაოში ერთი სუსტი ქუსლის მჩხრეკავი,  
სისხლის აღრევა, სისასტიკე, მრუში გენები  
გველის წინილებს – მარმარილოს ტორსებს ჩეკავდნენ,  
მერე, ყველაფრის პოეზიით გადამლეკავი,  
თვალეზდათხრილი ჰეგზამეტრი იდგამდა ენას.

(სტურუა 2013: 440)

„თვალეზდათხრილი“ ასოციაციურად შეიძლება დავაკავშიროთ ჰომეროსთან (რომელიც გადმოცემის თანახმად ბრმა იყო) და ოილოპოსთანაც (რომელიც თავისი დანაშაულის გაცნობიერების შემდეგ თვალეზდათხრის), თუმცა, ვფიქრობ, ალბათ ბევრად მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ძირითადი კონცეპტი მაინც ხედვისა და მეტყველების აქტუალიზებით გამოხატა ავტორმა. „თვალეზდათხრილი“ იდგამს „ენას“, ენა ანუ პოეზია ხდება ყველაფრის „გადამლეკავი“, მოცემული სიტყვა „გადამლეკავი“ კარგავს თავის მნიშვნელობას და „მომწესრიგებლის“ „ჰარმონიაში მომყვანის“ ფუნქციით გამოიყენება, რაც ექსპრესიას აძლიერებს და ანტიკური პერიოდის კონტრასტებით აღსავსე სურათს უფრო ადვილად აღსაქმელს ხდის. ასევე ხაზგასმულია, რამხელა მნიშვნელობა აქვს პოეზიას ამ მრავალი განსხვავებული ღმერთისა და გრძნობის სამყაროში.

ამავე პერიოდს აღწერს თავისუფალი ლექსი „მითის გახსენება“, რომელიც ზეესისა და მისი შვილების ისტორიას ეხება, რომლებმაც ციხე – ოლიმპო გატეხეს და „ზეცის თვალი დატოვეს ღია“, რის შედეგადაც „ცრემლივით აკრიალდა ახალი ღმერთი“. კონტრასტი იქმნება ცნებების „ციხისა“ და „ღიას“ შეპირისპირებით, ახალი ღმერთის ცრემლთან შედარება კი გვანიშნებს, რომ აქამდე უჩვეულო, – გრძნობისმიერი ელემენტები იწყებენ მოქმედებას, რაც დიდი ცვლილების ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ. აღსანიშნავია, ავტორის დამოკიდებულება, მისი ტექსტები

ყოველთვის გულისხმობს ადრესატს, რომელმაც უნდა დაინახოს არამხოლოდ მითოსური სამყაროს მრავალშრიანობა და საზრისი იმ კონკრეტულ არეალში, არამედ მათი თანამედროვეობა და სიცოცხლისუნარიანობა, რაც გამოიხატება იმის გააზრებით, რომ ცვლილებები მარადიულია და ეს სამყარო, რომელიც მითის სახით არსებობს ანმყოფი სხვადასხვაგვარად ტრანსფორმირდება. ასეთი დამოკიდებულება განსაკუთრებით თვალსაჩინოა თავისუფალ ლექსში „კენტავრი“. – ბერძნული მითოლოგიის ამ უჩვეულო არსების გახსენება, ერთი შეხედვით უცნაურ – ურბანულ გარემოს უკავშირდება. „კენტავრები – ცხენკაცთა მძლავრი მოდგმა, ტყისა და გამოქვაბულთა დემონები, ტყიურები, ურჩხულები („ფერეს“) ურჩხი და უხეში ქმნილებანი, რომელთაც ცხენის ტანი ადამიანის თავ-მკერდი, ხელები და გონება აქვთ“ (გელოვანი 1983: 245) თუმცა, ისინი მხოლოდ მახინჯი და უარყოფითი თვისებების მქონე არსებები არ არიან. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კენტავრი ქირონია, რომელიც თავს სწირავს პრომეთესთვის. სწორედ ეს მითოლოგიური არსება გახდა შთაგონების წყარო არაერთი მწერლისა და ხელოვანისთვის. მეოცე საუკუნის ამერიკელი კლასიკოსი მწერალი ჯონ აპდაიკი საკუთარ რომანში („კენტავრი“) ერთ-ერთ მთავარ შრედ სწორედ ამ მითს იყენებს: „ნაწარმოებში ცენტრალურია მითი ქირონზე – კეთილშობილ კენტავრზე, მაგრამ „კენტავრს“ ერთი რომელიმე კერძო მითოლოგიური სიუჟეტი კი არ უდევს საფუძვლად, არამედ რამდენიმე მნიშვნელოვანი მითის გამაერთიანებელი მითოსური სიტუაცია, რომელთა მხატვრული დამუშავებით ავტორმა ნაწარმოებს მრავალი ასოციაციური პლანი შესძინა. თავად აპდაიკი ამბობდა, რომ ნიგნის იდეა დაებადა კენტავრის მითის ნაკითხვის შემდეგ. „იგი შეძრა ქირონის უანგარო თავგანწირვამ პრომეთეს გადასარჩენად. სწორედ ამ სიუჟეტმა მისცა ბიძგი ავტორის ჩანაფიქრს, დაენერა რომანი კაცზე, რომლის ცხოვრების თითოეული დღე სწორედ უანგარო თავგანწირვის ნიმუშია“ (ჩომახიძე 2001: 134). ქართველი პოეტიც ამერიკელი მწერლის მსგავსად კენტავრს დადებით არსებად წარმოგვიდგენს, აქცენტი კი ძალიან ყოფითი თემისკენაა მიმართული. როგორც აღვნიშნეთ, ღია სტურუა ურბანულ სივრცეს – ქალაქს აღწერს, ლექსის ლირიკული გმირი აკვირდება ვიწრო ქუჩებს და ამჩნევს „დამწვარ ელსადგურებს“, ადამიანთა შორის გაუცხოებას, „ოცნებას გადაჩვეულ“ ხალხს და ერთ უჩვეულო კაცს, რომელიც სხვებმა განირეს:

...ოცნებას გადაჩვეული ადამიანები  
 თუ ბადაგის სიტკბოთი  
 ღვიძლატიკივებულები,  
 საკუთარ ნაღველში ამონობილ  
 ისარს ესვრიან კაცს,

რომელიც წელს ქვემოთ ცხენია,  
რადგან მანქანით ვერ იარა  
ამ ვინო და დამხრჩვალ ქუჩებში,  
ვერ დაჯაბნა სანყლები,  
ხალხიც შეეცოდა,  
მაძლარი, კმაყოფილი, ამპარტავანი,  
მაგრამ შიშველი ბარტყივით უმწეო  
დროის წინაშე  
და შხამიანი ენებისა და ისრების  
სამიზნედ გადაიქცა,  
როცა ისედაც ტკიოდა ზურგი  
მაგიდასთან ჯდომისგან და წერისგან  
და ახლა მთელი ტკივილი  
ხერხემალში დაუგროვდა,  
მაგრამ არც ხმა ამოუღია,  
არც წიგნი აუფარებია,  
ისე კვდებოდა...

(სტურუა 1987: 47)

ეს თანამედროვე კენტავრია – ნახევრად ცხენი და ნახევრად კაცი, რომელსაც გააზრებული აქვს ეკოლოგიური პრობლემა – ის ვერ უგულებელყოფს „კმაყოფილ და ამპარტავან ადამიანებს“ და მანქანით არ ივლის „ვინო და დამხრჩვალ ქუჩებში“, თუმცა თავად განწირულია. შესაძლოა აქ იყოს ალუზია ქირონთან, რომელიც საკუთარი ნებით წირავს თავს. ვფიქრობ, კენტავრის სახის აპდაიკისა და ლია სტურუასეული გააზრება ერთმანეთს ჰგავს. ლირიკულ ნიმუშშიც სწორედ უანგარო თავგანწირვაა ასახული. „თანამედროვე კენტავრი“ არ თმობს საკუთარ პრინციპებს და იღუპება სწორედ იმ ადამიანების ხელით, რომლებიც თავად ვერ გაიმეტა. კენტავრის სახე მსგავსადაა წარმოდგენილი ლია სტურუას პოემაშიც, სახელწოდებით „არანის წრეში“: „...შუა ქალაქში... ცხენს კი არა/ მანქანის მეტალს მიხორცებული კენტავრები/ მისდევენ სალოსს...“ (სტურუა 1977: 57) – იგივე სივრცე და იგივე სახე, სათქმელიც მკაფიოა, ცხენისა და კაცის ჰარმონია დარღვეულია, „მანქანის მეტალს მიხორცებული ადამიანები“ – კენტავრის სახით გვევლინებიან. ავტორი ქალაქურ დისჰარმონიას გვიჩვენებს და მითოსური არსების ამ სივრცეში შემოყვანით, თანამედროვე ყოფის ამსახველ, მკითხველისთვის სრულიად გასაგებ კონცეპტს ქმნის, ნაცნობ პრობლემატიკას გამოკვეთს. კენტავრის სახე მოცემულ გარემოში თითქოს მოულოდნელია, მაგრამ სათქმელის ერთიან კონტექსტში გააზრება, არანაირ გაუგებრობას არ იწვევს, პირიქით ექსპრესიას მატებს სათქმელს. „ღია სტურუა საერთოდ დაპი-

რისპირების პოეტია, უფრო სწორად, ისეთ კონტრასტულ ცნებებს უყრის თავს ერთ ჭერქვეშ, შეიძლება, მისი პოეტური სამყარო ვინმეს „ზამთრის ბაღად“ მოეჩვენოს, მაგრამ ამ ბაღში იმდენი ცხოვრებისეული ეკალია, ძნელი წარმოსადგენია, განყენებული მსჯელობისთვის მოიცალოს მკითხველმა“ (ჭილაძე 1980: 3). ეს შეფასება, ვფიქრობთ, ზედმინევენით გამოხატავს ლია სტურუას შემოქმედების ერთ-ერთ ასპექტს, რადგან ფაქტია, რომ ჩვენ წინაშეა არა მარტივად გასაგები, არამედ სიმბოლოებით, ასოციაციებით დატვირთული, ღრმად ინდივიდუალური და ორიგინალური პოეზია.

ბერძნული მითოლოგის ასევე ძალიან ცნობილი პერსონაჟია ორფეოსი, რომელიც მრავალი მუსიკალური, ლიტერატურული თუ ფერწერული ნიმუშის წყარო გახდა (იხ. გუსტავ მოროსა და ემილ ბენის ტილოები სახელწოდებით „ორფეოსის სიკვდილი“). პოეტური ნიმუშის ერთ-ერთ მაგალითად განვიხილოთ მეცხრამეტე საუკუნის ინგლისელი მწერლის პერსი ბიში შელლის „ორფეოსი“, გთავაზობთ გივი გაჩეჩილაძის თარგმანს:

ადამიანთა ქმედებისგან განსხვავებული,  
იგი აროდეს ჰკარგავს ძალას და ხმათა ცვლაში  
შეთანხმებულად ცხოვრობს სიბრძნე და სილამაზე,  
შეხმატკბილებულ აკორდებში შეერთებული.

(Shelli 1942:104)

ორფეოსი მარადიული სახეა, მისი ძალა მისსავე მუსიკაშია განხორციელებული. ლია სტურუას ლექსში „ორფეოსი“ „ნახევრად ქნარი და ნახევრად კაცი“ მარადიულ რაინდად არის წარმოდგენილი. გვახსენებს მითს, უჩვეულო ადამიანის შესახებ, რომელიც მუსიკის მეშვეობით არგონავტებს დაიხსნის, ხოლო ევრიდიკეს, საკუთარი მეუღლის გამოსახსნელად ჰადესში ჩადის. „მინისქვეშეთში მიდის ოპერა“, – წერს პოეტი და მკითხველს მუსიკალურ პაროლს აძლევს (ალიტერაციას – „გ“ და „კ“ თანხმოვნები ქმნის, ხოლო ასონანსს – „უ“-სა და „ი“ ხმოვნების გამეორება). „ეკალი გულში – სახელი გლუკი“ და ამ სახელის ხსენებით მკითხველს ახსენდება გერმანელი რეფორმატორი კომპოზიტორის კრისტოფ ვილიბალდ გლუკის ოპერა, სახელწოდებით „ორფეოსი და ევრიდიკე“ [https://www.youtube.com/watch?v=vuFA5\\_Kq7Tg](https://www.youtube.com/watch?v=vuFA5_Kq7Tg)), რომლის მეშვეობითაც შეგიძლია მივხვდეთ ლირიკული სუბიექტის განცდებს, იმ ტკივილს, რომელიც აიძულებს მას, მოუხმოს ორფეოსს:

სანამ ღმერთები გადამთელავენ,  
უნდა მოვიდეს, უნდა მიშველოს,

გამომიგზავნოს ბროლის ყელიდან  
ხმა ობოლი და სულმთლად შიშველი...  
(სტურუა 2013: 148)

ორფეოსი – მუსიკა მხსნელია მოცემულ შემთხვევაში. მუსიკა – ხელოვნება ამ ფუნქციით ხშირად გვევლინება ღია სტურუას შემოქმედებაში.<sup>1</sup>

„ხელოვნების მაგიურ ძალას სასწაულების მოხდენა შეუძლია, ღამის მიცვალებული მკვდრეთით აღადგინოს, გვეუბნება მითი.

ასეთი რწმენა ჰქონდათ ელინელებს.

...მაგრამ კათარზისი დროებითი მოვლენაა, როგორც ევრიდიკეს ჰადესისაგან გამოხსნა.

ილუზია იფანტება და ცხოვრება თავისი გზით მიედინება. მოდის ახალი ხელოვანი და ყველაფერი თავიდან იწყება, რათა ხელახლა მოხდეს ბიოლოგიურ ძალთა ჰუმანიზება.

თითქოს გრძელდება სიზიფეს შრომა“ – (სიგუა 2005:4) ასე განიხილავს ორფეოსის მითს ლიტერატურის კრიტიკოსი სოსო სიგუა. ვფიქრობ, სამივე ავტორის ნააზრევში საერთო ნიშანი ორფეოსის მარადიულობაა, ის მხსნელადაც შეგვიძლია გავიაზროთ, სიყვარულისა და თავდადების მაგალითადაც წარმოვადგინოთ. ღია სტურუას სასარგებლოდ კი იმის თქმა შეიძლება, რომ ამ სახე-სიმბოლოების გამოყენებისას არ იქმნება ბანალურობისა და განმეორების განცდა, მიუხედავად იმისა, რომ მითოლოგიური მასალით სარგებლობაში არაფერია ნოვატორული. მითები ყველა დროსა და ეპოქაში სხვადასხვა იდეით იტვირთება და სწორედ ესაა მათი უნიკალურობისა და თანამედროვეობის საიდუმლო, ხოლო თუ როგორ დაამუშავებს მწერალი უკვე ყველასთვის ცნობილ მასალას, მის ნიჭიერებასა და პოეტურ ოსტატობაზეა დამოკიდებული.

მითოლოგიური სახე-სიმბოლოები გვხვდება ლექსებში: „პენელოპე“ „სიზიფეს ლოდი“, „ოდა სიზიფეს“, „პლატონის მოტივებზე“, „მედეა“... თავისუფალი ლექსი „პენელოპე“ რემინისცენციებისაგანაა აგებული, მკითხველი ხვდება ვინ არის ნაგულისხმევი სტრიქონებში: „ზღავაზე დასრიალებს /ანუ ორ ხმელეთს შორის/ განოლილ ჰომეროსზე/ მის სიბრმავეს აპატიე/ ქალების ღამეები და პროჟექტორები.../ (სტურუა 2013:1 07) პოეტი ოდისევსის მოგზაურობის კიდევ ერთ ეპიზოდზე შეაჩერებს მკითხველის ყურადღებას: „ყურებს ცვილით კი არ დაიხშობს, მოიჭრის და სიგიჟის საბუთებივით / მიუგდება იმ დროებით ქალებს...“ (სტურუა 2013:107) პენელოპეს მოლოდინის პარალელურად ოდისევსის თავგადასავალი, ნიმფა კალიფსოსთან თუ სირინოზებთან შეხვედრაა

1 იხ. კვიციანი მაია : „მუსიკა და ღია სტურუას რემინისცენციები“ „სტუდენტური კვლევები“, ლიტერატურათმცოდნეობა 2018 – 6.

მინიშნებული. ლექსი არ გამოირჩევა კომპოზიციური ერთიანობით, თითქოს ფრაგმენტებისგანაა აგებული, თუმცა პოეტური სახეების, მინიშნებების, ერთგვარი პაროლების ამოცნობა ამთლიანებს სურათს, ამასთან, პოეტურ ნიმუშში დასმული კითხვების მეშვეობით ნაცნობი მითი ახალი ნიუანსებით წარმოგვიდგება: „ვის უნახავს პრიალა სიყვარული?“ „რამდენიმე ნორმალური კაცი რომ განასკვო, ერთი სიგიჟე არ გამოვა?“ „რა მოგცა მოთმინებამ?“ ეს შეკითხვები იმთავითვე პასუხებს კი არ მოითხოვს, არამედ ამ ისტორიის დაფარული შრეების ამოცნობისა და მასზე ფიქრისთვის განაწყობს მკითხველს. ასევე, აღსანიშნავია ლექსში გამოყენებული სინესთეზიის ნიმუშიც:

ბრმა რომ იკითხავს: – რა არის ლურჯი?  
და შოპენის ეტიუდში ჩააყოფინებენ ხელებს...  
(სტურუა 2013:107)

ლექსი ამ უჩვეულო სტრიქონებით მთავრდება, რთულია ამგვარი პოეტური წარმოსახვის ინტერპრეტაცია, თუმცა, ვფიქრობ, ავტორმა ძალიან ზუსტად, დაკვირვებითა და საოცარი სიცხადით გვიჩვენა ადამიანის ადქმის უჩვეულობა, სამყაროს უნიკალურობა, მრავალფეროვნება თუ მრავალხმიანობა.

ლექსები „ოდა სიზიფეს“ და „სიზიფეს ლოდი“ ერთსა და იმავე თემას ეხება, თუმცა საკითხი სხვადასხვაგვარადაა მოწოდებული (სიზიფეს მითი საყოველთაოდაა ცნობილი და მის განხილვას არ შევუდგები), „სიზიფეს ლოდი“ გამორჩეულია ტროპული სახეებით, წვიმა სიმძიმის გამო მკვდარ ფრინველთან არის შედარებული, „ხერხემლიანი ჰაერი“ ცას უფრო მღვრიედ აჩენს. გმირი მოხრილია ტვირთისაგან – მძიმე ლოდისაგან, რომელიც „აბრეშუმით ნატიფია“. აბრეშუმთან ლოდის შედარება და მათ შორის არსებული შინაარსობრივი კონტრასტი გვაფიქრებს „ლოდის“ – ტვირთის მრავალგვარობასა და უჩვეულობაზე; ამავე თემას ეხება ლია სტურუას სონეტი „ოდა სიზიფეს“. როგორც აღვნიშნეთ, ავტორისთვის არ აქვს მნიშვნელობა ვერსიფიკაციის რომელ საშუალებას მიმართავს, მისთვის სათქმელი განაპირობებს გამოხატვის ფორმას და არა პირიქით. ამიტომაც მკაცრად განსაზღვრული ფორმის მქონე სონეტშიც კარგად წარმოჩინდება პოეტური ოსტატობის ხარისხი:

არ დაიჯერო რომ დაკარგა ცამ მნიშვნელობა,  
რომ უაზროა სილურჯეში ხელის ფათური.  
ნეტა, ღვთაებრივ სისადავეს რატომ ვართულებთ,  
როცა აქვეა მწვერვალებიც და ქვესკნელებიც,  
რომელთა შორის მითიური სიზიფე დადის,  
კაცი შვეული, უძინარი და ბედნიერი,

რადგან სათავე უფსკრულში აქვს, მწვერვალზე – ვარდი, ჩემს წვალებასაც რომ დაჰკრავდეს მისი იერი. ჩემს ფიქრს, რომელიც კანონიერ ჩარჩოში არ დევს, ლექსს კი არ უნდა წარეკვეთოს თავი და ზომა. არ გაუფრინდეს ქარში თმები, ფესვი არ მოკვდეს, ამაზე ფიქრი, შეუმჩნეველად დღეებს ამოკლებს, რომლებსაც მაინც ავივსებდი სიზიფეს შრომით, თუ შეფასების ერთეულად მივიჩნევთ ვარდებს... (სტურუა 1999: 9)

საინტერესო და მართებულია ლიტერატურის კრიტიკოს დალილა ბედიანიძის მოსაზრება, რომელსაც სრულიად ვიზიარებ და ამიტომაც ვრცლად გთავაზობთ: „არსად არ არის ლოდი ნახსენები, რომელსაც სიზიფე მწვერვალისაკენ მიაგორებს. ლოდს აქ ცვლის ვარდი, რომელიც ლია სტურუას ლექსში ღვთაებრივი ტვირთის მეტაფორად უნდა მივიჩნიოთ. პოეტის შრომა ამ ლექსში გაიგივებულია სიზიფეს შრომასთან, რომლის მიზანიც ამაოებასთან ბრძოლაა. სტრიქონში „ლექსს კი არ უნდა წარეკვეთოს თავი და ზომა“ გვხვდება გამოძახილი ყაჩაღი პროკრუსტეს მითისა და ამ სტრიქონში შემოქმედებითი თავისუფლებისაკენ მოწოდებაც ამოიკითხება. ამაოებას შეჭიდებულ პოეტს, როგორც მითოსურ სიზიფეს ლოდი, ისე აქვს მინიჭებული ვარდი უფლისაგან ჯილდოდ იმისათვის, რომ მიუხედავად ყოველდღიური ამაოებისა, არ ეშვება საყვარელ საქმეს, რადგან ეს მისი არსებობის ერთადერთი გამართლებაა“ (ბედიანიძე 2009: 151).

ამდენად, მოცემული ლექსების განხილვის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანტიკური სამყარო ქართველი პოსტისთვის მუდმივი ფიქრის საგანია; მითებისა თუ „ჰეგზამეტრის“ საშუალებით შემონახული ისტორიები იმთავითვე ამტკიცებენ საკუთარ მარადიულობას. ეს ამბები, რომლებშიც ადამიანური გრძნობები და მდიდარი გამოცდილება ინახება, მრავალგვარი ფიქრისა და მსჯელობის საშუალებას იძლევა. ყოველ ავტორს, რომელიც იყენებს ამ უნიკალურ მასალას ინტერპრეტაციაში საკუთარი ხედვა და დამოკიდებულება შეაქვს, ხოლო თუ რისი მეშვეობით, რა ფორმითა და ესთეტიკით ხდება ამ ნააზრევის მოწოდება, მათ ოსტატობაზეა დამოკიდებული. „ეტყობა, სისხლი ქართული მქონდა, სულიერი მდგომარეობა – ელინურად ჰარმონიული.“ ნერს ლია სტურუა რომანში „რძეში ჩავარდნილი ქვა“ – ვფიქრობთ, მისი დამოკიდებულება აღნიშნულ სამყაროსთან ამ სიტყვებში ცხადად არის გადმოცემული, ხოლო ლირიკულ ნიმუშებში ეს კავშირი სხვადასხვა რაკურსითა და მხატვრული სახეების მეშვეობით ხორციელდება. მითოლოგიის გამოყენებით ავტორმა პოეტურად გადმოსცა თავისი დამოკიდებულება ისეთი თემების მიმართ,



როგორცაა: ბერძნული მითოლოგიის მრავალფეროვნება და სიბრძნე, მუსიკის ძალა, ეკოლოგიური პრობლემა, ადამიანთა შორის გაუცხოება, ხელოვანის შრომა თუ პიროვნების მიერ სამყაროს მრავალგვარად აღქმის შესაძლებლობა. ამდენად, ლია სტურუას შემოქმედების ამ მცირე ნაწილის განხილვაც ცხადყოფს უწყვეტ კავშირს ანტიკურობასა და თანამედროვეობას შორის, ორიგინალური ინტერპრეტაციები კი მკითხველს კიდევ ერთხელ აფიქრებს ანტიკური სამყაროს მარადიულობაზე.

#### დამონშებანი:

- Asatiani, Guram. „Dinozavrebis Nak’valezze Siaruli Ak’rdzalulia“. *Uk’etes Drotatvis*. Tbilisi: gamomtsemloba “Neost’udia”, 2002 (ასათიანი, გურამ. „დინოზავრების ნაკვალევზე სიარული აკრძალულია“. *უკეთეს დროათავის*. თბილისი: გამომცემლობა „ნეოსტუდია“, 2002).
- Bedianidze, Dalila. „Lia St’uruas Shemokmedeba da Polk’lori“. *Semiot’ik’a*, №6, 2009 (ბედიანიძე, დალილა. „ლია სტურუას შემოქმედება და ფოლკლორი“. *სემიოტიკა*, №6, 2009).
- Benashvili, Guram. „Pikrebi Tanamdrove P’oeziaze“. *Lit’erat’urul-k’rit’ik’uli Et’iudebi*. Tbilisi: gamomtsemloba “Merani”, 1989 (ბენაშვილი, გურამ „ფიქრები თანამედროვე პოეზიაზე“. *ლიტერატურულ-კრიტიკული ეტიუდები*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1989).
- Ch’iladze, Otari. „Ts’inasit’q’vaoba Lia St’uruas Ts’ignze“. *Leksebi. Ori P’oema*. Tbilisi: gamomtsemloba “sabch’ota sakartvelo”, 1980 (ჭილაძე, ოთარი. „წინასიტყვაობა ლია სტურუას წიგნზე“. *ლექსები ორი პოემა*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1980).
- Chomakhidze, Maia. „Ap’daik’is” K’ent’avri “ – Miti da Realoba”. *Tsisk’ari*, №8, 2001 (ჩომახიძე, მაია. „აპდაიკის „კენტავრი“ – მითი და რეალობა“. *ცისკარი* №8, 2001).
- Gelovani, Ak’ak’i. *Mitologiuri Leksik’oni*. Tbilisi: gamomtsemloba “sabch’ota sakartvelo”, 1983 (გელოვანი, აკაკი. *მითოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983).
- Jaliashvili, Maia. „T’k’ivilis Met’apizik’a“. *K’rit’ik’a*. №2. Tbilisi: gamomtsemloba “universali”, 2007 (ჯალიაშვილი, მაია. „ტკივილის მეტაფიზიკა“. *კრიტიკა*, №2. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2007).
- Shelli. „Orpeosi“. *Mnatobi*, №11-12, 1942 (შელი. „ორფეოსი“. *მნათობი*, №11-12, 1942).
- Sigua, Soso. *Orpeosi: Shemokmedi da Sulis Arkaik’a*. Tbilisi: gamomtsemloba “didost’at’i”, 2005 (სიგუა, სოსო. *ორფეოსი: შემოქმედი და სულის არქაიკა*. თბილისი: გამომცემლობა „დიდოსტატი“, 2005).
- St’urua, Lia. „Arenis Ts’reshi“. *Leksebi. P’oema*. Tbilisi: gamomtsemloba “merani”, 1977 (სტურუა, ლია. „არენის წრეში“. *ლექსები. პოემა*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1977).
- St’urua Lia. „K’ent’avri“. *Mnatobi. Sakartvelos Sabch’ota Ts’evrebi K’avshiris 10 Organo*, №6-47, 1987 (სტურუა, ლია. „კენტავრი“. *მნათობი. საქართველოს საბჭოთა წევრების კავშირის 10 ორგანო*, № 6 – 47, 1987).
- St’urua, Lia. „Oda Sizipes“. *Asi Sonet’i da Skhva*. Tbilisi: gamomtsemloba “merani”, 1999 (სტურუა, ლია. „ოდა სიზიფეს“. *ასი სონეტი და სხვა*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1999).
- St’urua, Lia. *Rcheuli*. Tbilisi: gamomtsemloba “diogene”, 2013 (სტურუა, ლია. *რჩეული*. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“, 2013).

**Maia Kvirkvelia**  
**(Georgia)**

### **Ancient Icons and Symbols in Lia Sturua's Poetry**

#### **Summary**

**Key words:** Lia Sturua, reminiscence, antique, mythical symbols.

The ancient world is multi-layered and many works of art are based on it. It is compelling how the existing motifs, faces and symbols can be redefined by a writer or someone from the literary world. Modern art pieces create a brand-new space for a manner of thought and interpretation as well as enrich the piece itself.

Lia Sturua is one of the 70s acclaimed poets. Her work is interesting and highly appreciated. Her poems are not just diverse because of their unique form, but the ideas are expressed in a way that is memorable for the readers. Paradigms in poetic pieces are reexamined and often it seems that opposing words coexist harmoniously. In her poetry, ancient symbols acquire a new meaning. This world is unusual for the author and has the possibility of constant thought and discovery. I will observe what features distinguish the selected samples and what contexts enrich the already existing sources. One of the most interesting poems is "Ancient Sonnet", through artistic reminiscences, the poet reminds us of the cruelty and love that characterized the period mentioned above: "White Plague", "Hot elite of marble", "Bronze hero swimming in a lake of blood"... These patterns of syntagms evoke the faces of the ancient world from the reader's memory and the main meaning of the sonnet is achieved precisely by decoding them. Then, a whole story comes alive in the recipient's mind.

The same period is described by the free verse "Remembering the myth", which refers to the story of Zeus and his children, who broke the Olympus fortress and "left the eye of heaven open". The contrast is created by comparing the concepts of "prison" and "open", and the comparison with the tears of the new God indicates that unusual, moving elements start emerging, which can be considered a sign of a great change. The attitude of the author is worth noting. Her texts always imply an addressee, someone who needs to be aware of how multi-layered the mythical world is, as well as its novelty and spirit. This can be achieved by understanding that changes are eternal and this world exists in the form of a myth and is transformed in different ways in the present.

Such attitude is well-shown in the free verse "Centaur". - the recollection of this unusual creature of Greek mythology is connected with a seemingly strange - urban environment. "Centaur is a powerful race of horsemen, demons of forests

and caves, forest-dwellings, monsters, beasts and brutes, having the body of a horse with the head, chest, arms, and mind of a man.” However, they are not just ugly and negative creatures. One of the most famous centaurs is Chiron, who sacrifices himself for Prometheus. This mythological creature has become a source of inspiration for many writers and artists. The American classic writer of the twentieth century, John Updike, uses this myth as one of the main layers of his novel, “The Centaur”: “The myth of Chiron, the noble centaur, is central in his work, but the “Centaur” is not based on one separate mythological plot but on several mythical stories unified by an important myth. By processing the myth, the author added many associative backgrounds to his work. Updike himself said that the idea for the book came to him after reading the myth about the centaur. “He was moved by Chiron’s selfless sacrifice to save Prometheus. It was this story that gave the author the idea to write a novel about a man whose everyday life is an example of selflessness (Chomakhidze 2001: 134).

The Georgian poet, like the American writer, presents the centaur as a positive being, and the emphasis is on a very existential theme. As we mentioned, Lia Sturua describes the urban space – a city. The lyrical hero of the poem observes the narrow streets and notices “burnt electricity stations”, alienation between people, humans “who grew out of the habit of dreaming” and one unusual man who was doomed by others. This modern centaur - half-horse and half-man, who understands the ecological problems - cannot ignore “satisfied and arrogant people” and does not drive in “narrow and stifling streets” is doomed anyway. Perhaps there is an allusion here to Chiron and his selflessness. I think Updike’s and Lia Stourois’ understanding of the notion of a centaur is similar and it is reflected in the lyrical sample as well. The “modern centaur” does not give up his principles and dies at the hands of the very people he could not condemn to death. The face of the centaur is also presented in this way in Lia Sturua’s poem called “In the circle of Aran”: “...in the middle of the city...not a horse/ Centaurs attached to the metal of a car/ chase Salos...” (Sturua 1977:57) – We can see the same space and the same face in this poem. It is manifested that the harmony between horse and man is broken and “people who are embodied in the metal of the car” - appear to us in the form of a centaur. The author shows the urban disharmony and by introducing a mythical creature into this space, she creates a concept that is completely understandable for the reader, reflecting the modern existence and outlining a familiar problem. The centaur’s face seems unexpected in the given environment, but understanding what is being said in a single context does not cause any confusion, on the contrary, it adds expression to what is being conveyed. “Lia Sturua is generally a poet of contradictions, or rather, she puts such contrasting concepts under one roof, her poetic world may seem like a “winter garden” to someone, but there are so many thorns of life in this garden, it is hard to imagine that the reader

will have time for abstract reasoning” (Chiladze 1980: 3 ). This assessment, I think, accurately expresses one of the aspects of Lia Sturua’s work, because the fact is that her poetry is not easily understandable, but loaded with symbols, associations, deeply individual and original verses.

Based on the analysis of the poems, we can say that the ancient world is a subject of constant thought for the Georgian poet; Stories preserved through myth or “hexameter” assert their eternity. These stories, in which human feelings and rich experiences are stored, allow for many kinds of thinking and reasoning. Each author, who uses this unique material, brings his vision and attitude to the interpretation. It is a matter of their skills through what form and aesthetics these ideas are communicated.

Employing mythology, the author poetically demonstrated her attitude towards such topics: the diversity and wisdom of Greek mythology, the power of music, the ecological problems, alienation between people, the work of an artist, and the ability of a person to perceive the world in many ways. Thus, the discussion of this small part of Lia Sturua’s work reveals a continuous connection between antiquity and modernity, and the original interpretations make the reader think once again about the eternity of the ancient world.